

პროექტის რეზიუმე (მიმდინარე პროექტი)
APPEAR Project 135 (ASSEC)

OeAD-GmbH

ICM – საერთაშორისო თანამშრომლობისა და მობილობის ცენტრი

Appear – ავსტრიის ურთიერთთანამშრომლობის პროგრამა უმაღლესი განათლებისა და კვლევის განვითარების სფეროში

პროექტის სახელწოდება: აკადემიური თანამშრომლობა შესაძლებლობის გაზრდისთვის გარემოს დაცვის სწავლებაში

პროექტის ხანგრძლივობა: 1 აგვისტო 2016 - 31 ივლისი 2020

გარემოსდაცვითი განათლება მდგრადი განვითარების ძირითად ფაქტორს წარმოადგენს, რამდენადაც ის ხელს უწყობს ახალგაზრდა თაობის ზოგადი ცნობიერების, ეკოლოგიური საფრთხეებისა და რისკების შესახებ ცოდნის ამაღლებას. პროექტის საერთო მიზანია, ხელი შეუწყოს საქართველოში უმაღლესი განათლების გაუმჯობესებას, განსაკუთრებით, ეკოლოგიური და შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით.

კერძოდ, ACCES-ს პროექტის ფარგლებში ყურადღება დაეთმობა:

- > უნივერსიტეტის შესაძლებლობათა გაზრდას ინოვაციური გარემოს ინჟინერიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შექმნის გზით, რომელიც დაფუძნებული იქნება უახლესი სწავლების მეთოდებსა და სტრატეგიაზე;
- > ცოდნის გადაცემის მიზნით, აკადემიური პერსონალის კომპეტენციების განმტკიცებას, სწავლებისა და კვლევის არსებული მიდგომების ხარისხის გაუმჯობესებით;
- > სამეცნიერო-პედაგოგიური კვალიფიკაციის რეალიზების მიზნით უმაღლესი განათლების სისტემაში გენდერული თანასწორობის გაძლიერება და თანაბარი შესაძლებლობების მრავალფეროვნების ხელშეწყობა;
- > უმაღლესი განათლების სისტემის დინამიკური ჩარჩოს ფარგლებში ნაყოფიერი თანამშრომლობის განვითარება კვლევისა და სწავლების რაციონალურ იდეებზე დამყარებულ აზრთა გაცვლითა და დიალოგით.

პროექტის ძირითადი ამოცანებია: არსებული სამაგისტრო სასწავლო პროგრამის „წყლის ინჟინერია“ განახლება; ახალი სამაგისტრო სასწავლო პროგრამის „გარემოს ინჟინერია“ შექმნა, რომელიც დაფუძნდება უახლესი კვლევების შედეგებს, სასწავლო მეთოდებსა და ხერხებს; ახალი მოსაზრებებისა და პერსპექტივების მიღწევის მიზნით პროფესიონალური, კულტურული და პირადი ცოდნა-გამოცდილების გაზიარება სტუ-ს და BOKU-ს შორის.

პროექტი ფიანანსდება „ავსტრიის თანამშრომლობის პროგრამა უმაღლეს განათლებისა და კვლევის განვითარებისათვის“ APPEAR-ის მიერ.

მაკოორდინატორი ინსტიტუტი, მისამართი: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (სტუ), კოსტავას ქ. #4747, ადმინისტრაციული შენობა, 0175 ქ. თბილისი, საქართველო

პასუხისმგებელი კოორდინატორი: ირმა ინაშვილი, პროფესორი, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი (სტუ, საქართველო).

პროექტის ძირითადი მონაწილეები სტუ-ს მხრიდან: ირაკლი ყრუაშვილი პროფესორი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი (სტუ, საქართველო) და კონსტანტინე ბზიავა ასოც. პროფესორი, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი (სტუ, საქართველო).

პარტნიორი ინსტიტუტი, მისამართი: ვენის ბუნებრივი რესურსებისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა უნივერსიტეტი (BOKU). Muthgasse 18, 1190 ქ. ვენა, ავსტრია.

პარტნიორი ინსტიტუტიდან კოორდინატორი: მარგარიტა ჰიმელბაუერი